ხაშურის მოამბე

№6(330) 28 თებერვალი, ორშაბათი, 2022 წელი

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მოქმედი რეგულაციების შემსუბუქების გადაწყვეტილება მიიღო

სხდომაზე,რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ ქვეყანამ „ომიკრონის“ შტამის გავრცელების პიკი გადაიარა, რაც შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შესაძლებლობას იძლევა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით:

• 1-ლი მარტიდან, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო საზღვრით შემოდის უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე/რეზიდენტი, რომელიც - არის სრულად ვაქცინირებული; ხოლო ვაქცინაციის არქონის შემთხვევაში - წარადგენს 72-საათიანი ვალიდურობის მქონე PCR-ტესტს (მესამე დღეს PCR ტესტირების ვალდებულების გარეშე); იხსნება ქვეყნების ე.წ. ჩამკეტი;

• ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების PCR-ტესტით შემოსვლის შემთხვევაში, იხსნება მესამე დღეს PCR-ტესტირების ვალდებულება,ხოლო PCR-ტესტის არქონის შემთხვევაში, არსებული 8-დღიანი თვითიზოლაცია შემცირდება 5 დღემდე;

• რეგულაციების შემსუბუქების გათვალისწინებით, უქმდება ბიზნესვიზიტორების, „იმუშავე საქართველოდან“ და სტუდენტური აპლიკაციები.

• კვების ობიექტებში ღია სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 15 ადამიანი (არსებული 10-ის ნაცვლად);

• დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 10 ადამიანი (არსებული 6-ის ნაცვლად);

• უქმდება სტუმართა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა;

• სოციალური ღონისძიებების (წვეულება, დაბადების დღე, ქორწილი, ქელეხი) გამართვა დასაშვები იქნება იმავე პირობით - დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან - 10 ადამიანის, ხოლო ღია სივრცეში - ერთ მაგიდასთან 15 ადამიანის განთავსება.

• 1-ლი მარტიდან უქმდება საკარანტინე სივრცეები, ე.წ კოვიდ-სასტუმროები, დღეიდან აღნიშნულ სივრცეებში ინფიცირებულთა შეყვანა შეჩერდება;

• უქმდება თერმოსკრინინგისა და ჟურნალის წარმოების ვალდებულება;

• უქმდება დეზობარიერის ქონის ვალდებულება.

• უქმდება ბუფეტის მომსახურებაზე შეზღუდვა;

• 4 მარტიდან დასაშვებია კლუბების ფუნქციონირება - ღონისძიების საერთო ფართის 60%-იანი დატვირთვით.

• 15 მარტიდან დასაშვებია კონფერენციების,სემინარების და ტრენინგების ჩატარება შეზღუდვების გარეშე;

• საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ყოველკვირეული სიხშირის ნაცვლად, ორ კვირაში ერთხელ გაიმართება;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების შესაბამისად მიიღებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ხაშურის მუნიციპალიტეტსა და უკრაინის ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის რადას შორის ონლაინ შეხვედრა გაიმართა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ნოვოგრად-ვოლინსკის მერს - მიკოლა ბოროვეცს და ნოვოგრად-ვოლინსკის რადას წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებიც.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამომავლო პარტნიორობის გაღრმავების გზებს და პერსპექტივებს. დაისახა კონკრეტული გეგმებიც პროფესიული განათლების საკითხებში გამოცდილების გაზიარების,კულტურის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურების, ბიზნეს პარტნიორობის ხელშეწყობის მიმართულებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს უკრაინელ კოლეგებს უკრაინის საპირისპიროდ რუსეთის მხრიდან მიმართული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და იმედი გამოთქვეს, რომ უკრაინა და საქართველო გადალახავენ ყველა დაბრკოლებას და შეუერთდებიან ერთიან ევროპულ ოჯახს.

შეხვედრა გამოჩენილი უკრაინელი პოეტის - ლესია უკრაინკას დაბადებიდან 151-ე წლითავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა.

რედაქციისგან: აღნიშნული შეხვედრა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამდე ორი დღით ადრე შედგა.

უახლოეს პერიოდში, ხაშურს განახლებული ცენტრალური პარკი დაამშვენებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მერის მოადგილე ზვიად ქურდაძესთან, მერიის ზედამხედველობისა და იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურების, ინფრასტრუქტურის განყოფილების, ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ ხელმძღვანელებთან და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმოადგენლებთან ერთად, პროექტ „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის და რკინიგზის სადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტები დაათვალიერა.

„დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაციისას მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში აღმოჩენილია გარკვეული ხარვეზები. სამუშაოების მწარმოებელმა კომპანიამ მერიისგან არგუმენტირებული რეკომენდაციები მიიღო და დაისახა სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად“, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

პროექტის დასრულების შედეგად ქალაქს ექნება განახლებული ცენტრალური სკვერი, სადაც თითოეული დეტალი სტანდარტების დაცვით იქნება შესრულებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

24 თებერვალს,გამართულ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი უძღვებოდა, ორი საკითხი განიხილეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურისთვის“ დაფუძნებისა და ფრაქციის თანამდებობის პირების უფლებამოსილების განხორციელების ცნობად მიღების შესახებ.

მცირე ბიზნესმა, საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი

30 წელზე მეტია, რაც სოციალისტური ეკონომიკა დაინგრა, ბევრი საწარმო გაპარტახდა, ადამიანებმა - ნიჭიერმაც და უნიჭოებმაც - გადარჩენის სხვდასხვა გზები მონახეს.

ამ მხრივ, ხაშური გამორჩეულია, აქაურმა მოსახლეობამ დროულად აუღო ალღო ცხოვრების და შრომის კაპიტალისტურ რელსებზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანას და ვფიქრობ, ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე ქალაქია, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, საკმაოდ სწრაფად დაეუფლნენ მცირე და საშუალო მეწარმის ფუნქციებს.

დაკვირვებული თვალიადვილადშეამჩნევს,რომხაშურისმოსახლეობის დიდმა ნაწილმა, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იმ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რომელიც უფრო ხელეწიფებოდათ და მეტ სიკეთეს მისცემდნენ, როგორც საკუთარ ოჯახებს, ისე მოსახლეობას, ქვეყანას, მთლიანად ქართულ ეკონომიკას.

არცთუ პატარა მუნიციპალიტეტში და ქალაქში კარგადაა განვითარებული მცირე მეწარმეობა. ქალაქში, თითქმის ყველა ეზოში საქმიანი ხალხი ფუსფუსებს, მათი უმრავლესობა დასპეციალებულია კონკრეტული ხელობით, სპეციალობით, ვინ ვაჭრობას მიჰყო ხელი, ვინ ავტოშემკეთებელი და მკერავია, ვინ ხის დამუშავების ოსტატია, ზოგი შესანიშნავი ელექტრიკოსი ან სანტექნიკოსია, ზოგი სამშენებლო საქმეში გახდა კვალიფიციური სპეციალისტი და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამდენი კვალიფიციური და საქმეზე ორიენტირებული სპეციალისტი დიდ ქალაქებშიც კი არ მოღვაწეობს.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ჩემი სხვადასხვა სფეროში მოღვწეობის გამო, თითქმის ყველა სპეციალობის ადამიანთან მომიწია ურთიერთობა და ბევრჯერ სასიამოვნოდ კმაყოფილი დავრჩენილვარ მათი გამართული მეტყველებით, აზროვნებით, საქმისადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებით, მომსახურების მაღალი კულტურით და სიიაფით. ალბათ ესეცაა იმის მიზეზი, რომ აქაური ოსტატები მტვერსასრუტივით იწოვენ სასურველ კლიენტებს, არა მარტო ხაშურის მუნიციპალიტეტიდან, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტებიდანაც.

მაპატიოს მკითხველმა და კონკრეტულმა ადამიანებმაც ვისაც მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ, რადგან გვარები არ ვიცი, თუმცა, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მივანიშნებ იმ ადგილებს, სადაც ისინი მუშაობენ და მომხმარებლების თუ კლიენტების მადლიერებას იმსახურებენ.

როგორ არ შევაქო სარიტუალო დარბაზის „ სამეფოს“ მენეჯერი ბატონი ვალერი, რომელიც დარბაზით მოსარგებლეთა მადლიერებას იმსახურებს, იქ ყველა წესსა და კანონს იცავენ და რაც მთავარია, საუცხოოდ ემსახურებიან სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსულ სტუმრებს.

გულთბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულებით და ოსტატობით აქვე ახლოს მდებარე ავტოშემკეთებელი მინი საწარმოს მეთუნუქე ახალგაზრდა ზრდილი ოსტატი შოთიკო, ცხრამუხამდე, გზის მეორე მხარეს მდებარე პროფილაქტიკაში ქებას იმსახურებს ავტო ელექტრიკოსი კახა, რომელიც გულდასმით „მკურნალობს“ ავტომანქანის ელექტროგაყვანილობას. ბორჯომის მხრიდან, აგრობაზრის შესასვლელთან ახლოს არის ხელსაწყოების, დაზგა-დანადგარების, ინსტრუმენტების პატარა მაღაზია, სადაც ბატონი თამაზი მოღვაწეობს და არ იკითხავთ როგორი სითბო და ყურადღება გამოსჭვივის მის თითოეულ რჩევაში, ფასების სიზუსტეში და ა.შ.

აქვე, ბორჯომის ქუჩაზე მდებარეობს სხვა სასურსათო მარკეტებთან შედარებით გამორჩეული მარკეტი, რომელიც ბატონ ბადრის ეკუთვნის და როგორც ქვითარზეა აღნიშნული, მისი გვარი გრიგალაშვილი უნდა იყოს.

ამ მცირე სავაჭრო ობიექტს, თუ არ ვცდები, მისი ოჯახის წევრები ემსახურებიან და, შეიძლება ითქვას, სანიმუშოდაც. სრულად იცავენ სასურსათო ობიექტის ფუნქციონირების წესებს და მოთხოვნებს.

აქ მომხმარებელი საოცარ ყურადღებას გრძნობს, ხარისხიანი პროდუქტები, წონის სიზუსტე და ფასების ხელმისაწვდომობა გაუგონარი კონკურენციის პირობებშიც კი მყიდველთა ერთგულებით ფასდება.

შეუდარებელია თვით ბატონ ბადრის შრომაც. მას, სხვა საქმეებთან ერთად, ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური თვისება გააჩნია, მისგან ყველაზე პრეტენზიული კლიენტიც კი კმაყოფილი გამოდის.

როგორ არ შევაქო იმერეთის ქუჩაზე, აგრობაზრის მოპირდაპირედ მდებარე,სამეურნეო საქონლის მარკეტის მესვეურები. აქ ბატონი გიაა მთავარი ფიგურა. მისი მარცხენა ხელია ბატონი თამაზიც. ამ მარკეტში ყველაფერს ნახავს ადამიანი, რაც საჭიროა მშენებლობისათვის, რემონტისათვის, ინსტრუნემტებს, საქტექნიკის საკეტებს, ხელსაწყოებს, გამათბობლებს, ელექტრო საქონელს, საღებავებს, წებოს, ლაქებს და სხვა უამრავი დასახელების საქონელს და სხვა.

ახლა როგორი კონსულტანტია ბატონი გია, გასაკვირია როგორი მეხსიერება აქვს ამ ადამიანს?! - მარკეტში შემოტანილი ყველა დასახელების საქონლის ღირსებები, ფასები თავში უზის, ახლა როგორი რჩევები აქვს. ამიტომაცაა, რომ აქ მუდმივად რიგებია.

ასევე მომხმარებელთა სიმრავლით გამოირჩევა აგრობაზრის დახურულ სივრცეში განთავსებული ტანსაცმლის ბაზრობის ერთ-ერთი სექცია, სადაც ბატონი გოჩა და მისი ოჯახის წევრები საოცარი ყურადღებით და ბრენდული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შერჩევაში ეხმარებიან მომხმარებლებს.

არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო ფეხსაცმლის შემკეთებელი ბატონი აკაკი (კაკო), რომლის ჯიხური რუსთაველის ქუჩაზე ანალიზების ლაბორატორიის მოპირდაპირედ მდებარეობს, აქ მომსახურების ხარისხი და სისწრაფე ერთმანეთის თანაზიარია.

კვალიფიციურ სპეციალისტთა სიმრავლე, რა თქმა უნდა, კარგია და, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველას არც ვიცნობ და ყველას შესახებ ვერ ვისაუბრებთ სრულყოფილად, მაგრამ მაინც მინდა ზოგიერთი მათგანი მაინც მოვიხსენიო. ტუმბოების შემკეთებელი რობიზონ ლომიძე, სანტექნიკოსი ვეფხვია (ცხრამუხა), შემდუღებლები ზაზა და მამუკა (სურამი), ავტომობილების შემღებავი გურამი (ავტოსადგურის მიმდებარედ). წყლის გამაცხელებლების შემკეთებელი კუკური (ხაშური, სასაფლაოს ასასვლელთან), მაცივრის და წყლის გამაცხელებლის, ფერადი ლითონის მილების შეკეთება შედუღების ოსტატი ნიკა (ნიკოლაძის ქუჩაზე). ავტომობილის პლასტმასის ნაკეთობათა აღმდგენი გია (ხაშური, ბორჯომის ქ. #161), აგრობაზრის ტერიტორიაზე მომუშავე მკერავები ბატონი იური და ქალბატონი ნაზი და სხავ მრავალი, რომელთა პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება არჩეული საქმისადმი არა მარტო კლიენტების სიმრვლეს და მათ კმაყოფილებას იწვევს, არამედ მცირე ბიზნესის გამართული მუშაობა ბიუჯეტის შევსებასაც უწყობს ხელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე იმიტომაც გავამახვილეთ ყურადღება, რომ სწორედ ასეთი ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ საკუთარ კომპეტენციაზე და კვალიფიკაციაზე, მომხმარებელზე თუ კლიენტებზე, ქმნიან ამინდს, რომელიც საშუალებას იძლევა ქვეყნის ყულაბის შევსებისა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დროულად გაიცემა ხელფასები და პენსიები, სოციალური დახმარებები, ხორციელდება მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი. თუ კვალიფიციური მცირე მეწარმეთა რაოდენობა გაიზრდება და მხარს აუბამს საშუალო ბიზნესს, გაჩნდება იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას მეტი მსხვილი სააქციო საზოგადიოება, კომპანიები და ა.შ. რომლებიც ეკონომიკის მართვის და წინსვლის საქმეში წონად სიტყვას იტყვიან არა მარტო მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში, არამედ დასაქმების პროცენტული მატების შესახებაც.

შესაძლოა ჩემს მოსაზრებებში ვინმე შემედავოს, ვინმეს უკეთესი აზრი და წინადადებები აქვს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ დავიწყოთ მსჯელობა ნებისმიერ აქტუალურ საკითხებზე. ხომ ვიცით, რომ მხოლოდ საქმიან კამათში, მსჯელობაში იბადება ჭეშმარიტება. მხოლოდ ასე შევძლებთ პროგრესის მიღწევას ყველა სფეროში. მხოლოდ ასეთი მიდგომებით ავწევთ ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონეს. უფრო მეტი საშუალება იქნება ხელფასების, პენსიების ზრდისა. ნაკლები ადამიანი გვეყოლება სოციალურად დაუცველი და ა.შ.

მაშ, ვიფიქროთ იმაზე, რომ მცირე ბიზნესი კიდევ უფრო გაძლიერდეს. მოსახლეობაში უნდა გაიზარდოს საშუალო ფენის რაოდენობა. რომელსაც არა მარტო თავის რჩენის საშუალება აქვს, არამედ შეეძლება მცირე ბიზნესიდან მყარი ნაბიჯი გადადგას საშუალო ბიზნესის გაფართოებისათვის და ა.შ. სხვა გზა არ არის, ასე ვითარდებოდნენ განვითარებული ქვეყნები დასავლეთში ამერიკის და აზიის კონტინენტებზე და შედეგებიც თვალსაჩინო აქვთ ერთ დროს მაჩანჩალა ქვეყნებს.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

- სოფლის მეურნეობა -

ეკატერინე გიგიტაშვილი - ფერმერი ქალბატონი, მრავალშვილიანი დედა და დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი

ეკატერინე გიგიტაშვილი, ფერმერი ქალბატონი, ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში, მეუღლესთან და 6 შვილთან ერთად, დაუღალავი შრომითა და მიზანდასახულობით, სოფლის მეურნეობას აწარმოებს და წარმატებაც კეთილგანწყობილია ამ ქალბატონისადმი. 10 წლის წინ, როდესაც არც მას და არც მის მეუღლეს არ ჰქონდათ სტაბილური სამსახური, გადაწყვიტეს, ოჯახის რჩენისათვის, რაიმე გზა გამოეძებნათ და შვილებთან ერთად დაიწყეს ბოსტნეული კულტურების წარმოება. ოჯახმა, იმისათვის რომ მიწათმოწმედების დასაწყებად საჭირო თანხები მოეძიებინა, გაყიდა 12 სული მსხვილფეხა პირუტყვი და მიღებული შემოსავლით მიწა დაამუშავეს და შემოსაზღვრეს.

ქალბატონი ეკატერინე იხსენებს, რომ მაშინ, თავდაპირველად, 12 მეასედ მიწაზე მოსინჯეს ძალები, ნელ-ნელა გაზარდეს შემოსავლებიც და დასამუშავებელი მიწის ფართობებიც. თუკი პირველ ეტაპზე მხოლოდ პირუტყვის საკვები კულტურა - იონჯა და თივა მოჰყავდათ,შემდეგში ნელ-

ნელა დაიწყეს ბოსტნეული კულტურების მოყვანა. პირველად, 12 მეასედ მიწის ნაკვეთზე, პომიდორი დარგეს და საუკეთესო მოსავალიც მიიღეს. დღეისათვის მათი სოფლის მეურნეობის წარმოება 4 ჰექტარ მიწაზეა გაშლილი. მოჰყავთ ხორბალი, პომიდორი, კარტოფილი, ბულგარული წიწაკა, მწვანე ლობიო. ბაღჩეული კულტურებიდან გოგრა და საზამთრო. შარშან ჟოლოც გააშენეს ნახევარ ჰექტარზე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსებით.

2 ჰექტარზე აქვთ გაშენებული ბაღჩეული და ბოსტნეული, ძირითადად ხახვი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა და მწვანე ლობიო. კიტრი ჭარხალი, სტაფილო შედარებით მცირე რაოდენობით მოჰყავთ. როგორც ფერმერი ქალბატონი აღნიშნავს, ცდილობს ყოველ წელს ახალ-ახალი მცენარეული კულტურა შემატოს საკუთარ წარმოებას. გასულ წელს, მცირე რაოდენობით, სატესტოდ, გოგრა, საზამთრო და ნესვიც დარგეს 10-10 ძირი და შედეგითაც კმაყოფილია, ამბობს, რომ ცდამ გაუმართლა. მაგალითისათვისათვის აღნიშნავს, რომ ერთი ცალი გოგრა საშუალოდ 20 კილოგრამამდე იწონიდა... და რაც ყველაზე მთავარი და საგულისხმოა, ქვიშხეთელი ოჯახი მხოლოდ ბიოპროდუქტებს აწარმოებს. ოჯახი მცენარეული კულტურებისათვის მხოლოდ ბიოსასუქებს გამოიყენებს.

მოწეული პროდუქტის რეალიზაციას, ძირითადად, ხაშურის, ბორჯომის, ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრებში თავად ახდენენ... თუმცა, პროდუქტის რეალიზების ორგანიზება მათთვის მარტივი არ არის. ამბობს, რომ თუკი გამოჩნდებიან მსხვილი ჩამბარებელი ობიექტები, მათთვის შრომის პროცესი გაადვილდება. აღნიშნული სასურველი იქნება ყველა ფერმერისათვის. რომ არ დაკარგონ მათთვის ძვირფასი დრო, რომელიც მიწათმოქმედებას სჭირდება.

სოფლის მეურნეობის წარმოებისას ფერმერი ოჯახი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებული დაფინანსებითაც სარგებლობს. გასულ წელს მათ სახელმწიფო პროგრამის ასპროცენტიანი თანადაფინანსებით გააშენეს ჟოლო. პროგრამის ფარგლებში, მათ გადაეცათ ნერგები, ნერგების ასახვევი საშუალებები, წვეთოვნები. ასევე მათ, სოფლის მეურნეობის

განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული პროგრამის ფრგლებში, შეიძინეს ტრაქტორი, რომლის თვითღირებულება შეადგენს 37100 ლარს, საიდანაც მთავრობამ დაუფინანსა ტრაქტორის შესაძენი თანხის 30 პროცენტი, 13 ათას ლარამდე. სახელწიფო პროგრამის ფარგლებში აქვთ შეღავათიანი სესხიც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტრაქტორის გატესტვა. ქალბატონი ეკატერინე საუბრისას აღნიშნავს, რომ მათ მეურნეობაში აგროტექნიკის ძალის დამატება ხელით შრომას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და გაზრდის მათი სოფლის მეურნეობის წარმოებას. მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებისგან კი ფერმერი ცოლ-ქმარი მუდმივად იღებენ კონსულტაციებსა და რჩევებს.

ფერმერი ოჯახი სამომავლოდ საკუთარი მეურნეობის გაფართოებასაც გეგმავს. ფიქრობენ მეცხოველეობის ფერმის გაზრდას, ქათმებისა და ღორების მოშენებას. ამ ეტაპზე კი მათი საფიქრალია, რომ სახელმწიფო მათ წარემოებას დაეხმაროს პროდუქტის ჩამბარებული პუნქტების გახსნით. იმედია, ასეც იქნება და სახელმწიფო გააგრძელებს ასეთი მეურნე ოჯახების თანადგომას, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ასეთი ადამიანების და ოჯახების სიმრავლეა.

თ. ახალკაცი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

1919 წლის 20 დეკემბერს, გორში, გაიმართა მაზრის სახალხო გვარდიის საგანგებო ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ საოლქო და საველე შტაბის წევრები ბორჯომიდან, ხაშურიდან, ქვემო ჭალიდან, ცხინვალიდან, ატენიდან და ქარელიდან. ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოსმენილი იქნა მოხსენებები. ხაშურის სახალხო გვარდიის წარმომადგენელმა მ. ტატიშვილმა აღნიშნა: „საერთო განიარაღებამ და ოპერაციებმა საბოლოო სიმშვიდე ჩამოაგდო. შტაბში ახლა სოფლებს მოაქვთ თითო-ოროლა თოფები, რომელიც დარჩენილი იყო. ჯარის გასვლის შემდეგ, ოსური სოფლებიდან მოვიდნენ დელეგაციები, რომლებმაც გადმოგვცეს, რომ ამიერიდან ჩვენ არცერთ ავაზაკს და მოღალატეს აღარ დავინდობთო. ახლა მხოლოდ საჭიროა დიდი მუშაობა ხალხში, რომ ხალხმა გაიგოს მიმდინარე მომენტი. ქურდობა მოისპო, გადარჩენილი ყაჩაღები გადაიმალნენ. იარაღი აღარ დარჩენილა“.

1920 წლის 19 მარტს, ხაშურში, გაიმართა საპროტესტო მიტინგი ბათუმის საკითხთან დაკავშირებით. დილის 11 საათზე, საყვირის ხმაზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს წინ თავი მოიყარა პარტიული ორგანიზაციების, მუშების, სასწავლებლების, გვარდიის, დაწესებულების წარმომადგენლებმა: „მოზღვავდა აუარებელი ხალხი“ მარიამიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნო ბათუმის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. ამის შემდეგ, ხალხი გაემართა გვარდიის მოედნისაკენ, სადაც გაიმართა მიტინგი. გიმნაზიის დირექტორმა შ. მხეიძემ ვრცლად ილაპარაკა საქართველოსთვის ბათუმის მნიშვნელობაზე. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი კიკნაძე. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია. ამის შემდეგ დემონსტრაცია გაემართა გორათისკენ, ძმათა სასაფლაოზე, სადაც წარმოითქვა სიტყვები. ამის შემდეგ, დემონსტრაცია დაბრუნდა ქალაქში და მთავარ ქუჩაზე გააგრძელა მსვლელობა.

„ხაშურის რკინის გზის სახელოსნო ერთად-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია მთელს ჩვენს რაიონში, რომელიც ტონს აძლევს აქტიურ ცხოვრებას. მის გარშემო შეჯუფებულია ადგილობრივი რევოლუციური დემოკრატია. ამ სახელოსნოს მუშათა მოძრაობის ისტორია, ეს მთელი ხაშურის რაიონის რევოლიციონური მოძრაობის ისტორიაა, ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის ისტორია, ეს ამ სახელოსნოს მუშების თავდადებული ბრძოლის აღწერაა: ხაშური ამაყობს სახელოსნოს მუშებით და არც სტყუვდება იგი.

ძველად და ახლო ხანაშიც ამ სახელოსნომ არაერთი და ორი მსხვერპლი შესწირა განმათავისუფლებელ მოძრაობას და დღესაც მაღლა ამართული მადლიანი მათი მუშური ხელი მედგრად სჭედს გვირგვინს გამარჯვებისთვის“. ასეთ შეფასების აძლევდნენ ხაშურის რკინიგზელთა რევოლუციურ საქმიანობას.

საბჭოურ ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება (გ. ხაჭაპურიძე, გ. გოგოლაძე) ხაშურის რკინიგზელთა 1920 წლის 22 მარტის გაფიცვასთან დაკავშირებით, ავტორი, პარტიული პოზიციებიდან გამომდინარე, ამ გაფიცვას მიიჩნევდნენ დიდმნიშვნელოვან მოვლენად „თავისი შედეგებით მეტად სერიოზულ გაფიცვად“.

გ. გოგოლაძე წერს: „1920 წლის მარტის მეორე ნახევარში, საქართველოს სამრეწველო საწარმოებში საგაფიცვო გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. იგი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მათ შორის აღსანიშნავია ხაშურის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც 20 მარტს ჩატარდა. მასში 700-მდე კაცი მონაწილეობდა. გაფიცვებმა წამოაყენეს ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ დეპოს ადმინისტრაციამ და რკინიგზის პროფკავშირების ცენტრალურმა გამგეობამ გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს და დეპოს მუშა-მოსამსახურეებს მოუწოდეს განეახლებინათ მუშაობა. მიუხედავად ამისა, გაფიცვა ორგანიზებულად ჩატარდა, თითქმის მთელი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა და მუშაობა დეპოში. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას გამოეხმაურნენ საქართველოს სატრანსპორტო მრეწველობის მუშები, რომლებმაც მოითხოვეს გაფიცულთა წინადადების დაკმაყოფილება.

20 მარტს, ხაშურის საორთქმავლო დეპოს მუშათა კრებამ აირჩია საგაფიცვო ბიურო 8 კაცის შემადგენლობით. მასში შედიოდნენ დ. ლეჟავა, ვ. მეტრეველი, ნ. მეტრეველი, ნ. მეყანწიშვილი, კ. პაპუაშვილი, ვ. ელიაშვილი, ალ. ნოზაძე, ლ. მანჯგალაძე და ბ. ფოცხვერია.

რკინიგზის პროფესიული კავშირების ცენტრალური გამგეობის დახმარებით, მენშევიკებმა განახორციელეს რეპრესიული ზომები, გაფიცვის ბევრი მონაწილე პროფკავშირებიდან გარიცხეს და სამუშაოდანაც დაითხოვეს. დასჯილთა შორის, გარდა საგაფიცვო ბიუროს წევრებისა, იყვნენ ა. ბიბილური, ი. ბარბაქაძე, ე. გაგუა, დ. ღონიკიშვილი და სხვები.

გ. ხაჭაპურიძე წერს: 1920 წლის მარტში რკინიგზის ხაშურის რაიონში დაიწყო თავისი შედეგებით მეტად სერიოზული გაფიცვა.

აქ მუშებს არ ჰქონდათ რვასაათიანი სამუშაო დღე, ისინი თავის დროზე ვერ იღებდნენ ხელფასს. მათ არ აძლევდნენ ტანსაცმელს, არ ამარაგებდნენ პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით და სხვა.

20 მარტს, ხაშურის რკინიგზელებმა საბოლოოდ გამოიმუშავეს თავისი მოთხოვნები. წარუდგინეს რკინიგზის ადმინისტრაციას (მოთხოვნები 5 მუხლისგან შედგებოდა) და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება 21 მარტის დილის 8 საათამდე. ამავე დროს, არჩეულ იქნა საგაფიცვო ბიურო, თუმცა, მენშევიკებმა ყოველგვარი საშუალება იხმარეს და თვით პროვოკაციასაც კი მიჰმართეს, მაგრამ ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მაინც ვერ მოახერხა გაფიცვის ჩაშლა. არც ადმინისტრაციის მუქარამ გაჭრა და გაფიცვა 21 მარტს დაიწყო. დეპოსა და რკინიგზის ხაზის არცერთი მუშა სამუშაოდ არ გამოსულა. სადგურ ხაშურიდან არცერთი მატარებელი არ გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი მუშებიც. გაფიცვა დასრულდა 23 მარტს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მუშების მოთხოვნები მთლიანად დააკმაყოფილეს“.

ასე წერდნენ, საბჭოთა პერიოდში, ხაშურში, 1920 წლის მარტის მუშათა გაფიცვის შესახებ.

24 მარტს, ხაშურის რკინიგზის გამგეობაში შედგა სდმპ ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტების სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რკინიგზელები და სხვები.

სხვა განსახილველ საკითხებთან ერთად, სხდომაზე „ყველაზე უფრო სერიოზული და ანგარიშგასაწევი იყო“ საკითხი, რომელიც „შეეხებოდა ხაშურის დეპოს 22 მარტს მომხდარ გაფიცვას და ყოველგვარ მოძრაობის შეჩერებას“.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. მარიამიძემ, რომელიც „... სამართლიანად ილაშქრებს ამ სამარცხვინო საქმის მომწყობ ვაჟბატონების წინააღდეგ და სასტიკად გმობს ამ მიზანშეუწონელ და ჩვენი სახელმწიფოებრივ წინმსვლელობის ხელის შემშლელ საზიზღარ გამოსვლას“. გამოვიდნენ სხვა ორატორებიც, რომლებიც „ითვალისწინებენ იმ საზიზღარ პროვოკაციას, რომელიც იყო მიმართული ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ“.

სხდომის მონაწილეები სასტიკად გმობენ ასეთ გაფიცვას“ და „ენერგიულ პროტესტს უცხადებს მის მომწყობთ“.

ამავე დროს, აირჩიეს სამი კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა გამოეკვლია „თუ რა პოზიციას ადგენენ ჩვენი ამხანაგები ამ გაფიცვაში და ვინ იყო ინიციატორი ამ უადგილო გამოსვლისა.“ გადაწყვიტეს კომისიაში აერჩიათ ორი ხაშურელი, ხოლო ერთი მოეწვიათ სდმპ ცეკადან. ხაშურიდან კომისიაში აირჩიეს შალვა მხეიძე (გიმნაზიის დირექტორი) და არკადი ხუნდაძე.

ამავე სხდომაზე სიმონ ბაბლიძემ შემოიტანა წინადადება, რომ „აირჩიეს ძმათა სასაფლაოზე ძეგლის ამგები კომიტეტის წევრები. კომიტეტის წევრებად აირჩიეს ს. ბაბალიძე, კოვზირიძე და არკადი ხუნდაძე.

კომიტეტმა, 22 მარტს, გაფიცვასთან დაკავშირებით, მიიღო რეზოლუცია: „კომიტეტი აღიარებს, რომ დღევანდელ მომენტში გაფიცვის გამოცხადება, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ის, შეუძლებელი და დაუშვებელია და პირდაპირ ღალატია მუშათა კლასის. ღალატია საერთოდ დემოკრატიული რესპუბლიკის და იმ ხაზის, რომელსაც დღიდან ჩვენი რესპუბლიკის გამოცხადებისა, რესპუბლიკის მუშათა კლასი ატარებს საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით“.

მოგვიანებით, 1923 წლის 22 მარტს, საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავზე, გაზეთმა „რკინიგზელმა“ მანის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი „პოპულარობის მაძიებელნი“, რომელიც ეხება 1920 წლის 22 მარტის ხაშურის რკინიგზელთა გაფიცვას. ავტორი ამ გაფიცვის ინიციატორებს “პოპულარობის მაძიებლებს“ უწოდებს. მასში ვკითხულობთ:

„1917 წლის (თებერვლის-თ. ლ.) რევოლუციამ ფართო სამოქმედო ასპარეზი მისცა ყველა დემოკრატიულ ელემენტს. რევოლუციის მონაპოვრის გამტკიცებისათვის საჭირო შეიქნა თვით მუშათა კლასის წევრებისგან გამოსულიყო შემოქმედებითი მუშაობისათვის მომზადებული პირები და იმდენად რამდენიდაც ეს შეძლო საქართველოს დემოკრატიამ, ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობაც განმტკიცდა და უზრუნველყოფილია. ცხადია, რევოლუციის განვითარების პროცესში ბევრს არანორმალურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რევოლუციამ ბევრი არადემოკრატი სოციალისტათაც გახადა და ჭეშმარიტ რევოლუციონერებთან ერთად, საერთო მუშაობის ფერხულში ჩაბა.

მაგრამ ყველაფერს თავისი კანონი აქვს, ხელოვნურად, ხათრისთვის გასოციალისტებული ხალხის უცვლელად დარჩენა არ იყო დასაჯერი და ასეც მოხდა. ბევრი მათგანი რევოლუციის განვითარების პროცესში შეუმჩნევლად ჩამოშორდა მას, ბევრმაც მოწინააღმდეგე პოზიცია დაიჭირა და აშკარად იბრძვის ძველი წყობილების აღსადგენად, მაგრამ ჩვენ გვინდა მთავარი ყურადღება მივაქციოთ შემთხვევით გასოციალისტებულების იმ წერილს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ უნარს დადებითი მუშაობისათვის, დღემდე არ ჩამოშორებია მუშათა ორგანიზაციებს და ამ საერთო კრიზისით გამოწვეული სულ უბრალო, უმნიშვნელო მოვლენები უნდათ თავიანთი პოპულარობის ასაწევად გამოიყენონ და არნახული გამოსვლებით მასის ყურადღება მიიპყრონ“.

„ჩვენ გადაჭრით შეგვძლია ვსთქვათ, რომ ხაშურის დეპოში ასეთი ატმოსფეროა ხელოვნურად არის შექმნილი. ხაშურის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა შორის ხაშურის დეპოს მუშები მუდამ მოწინავე რაზმში იდგა, გორის მაზრის მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა. მთელი ქართლი ხაშურის ორგანიზაციების დირექტივებით მოქმედებდა და დღეს, ჩვენ ვერავინ დაგვაჯერებს, რომ რევოლუციის სამი წლისთავზე, ხაშურის დეპოს მუშებმა ასეთი უბრალო საკითხების მოწესრიგებისათვის თავიანთ კავშირს და საერთოდ ორგანიზაციებს გვერდი აუარონ და გაფიცვით დაგვემუქრონ“.

„ეს არის მხოლოდ პოპულარობის მაძიებელთა საქმე, რომლებმაც თავიანთი ანარხისტობისთვის ღირსეული სასჯელი უნდა მიიღონ.

ჩვენი კავშირის პრინციპების აშკარა დამრღვეველებს, პოპულარობის ძიებისათვის კავშირის მუშაობაში ანარქიის შემომტანთ, ჩვენს კავშირში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ“.

ავტორი ასეთი „პოპულარობის მაძიებლებად“ მიიჩნევს ხაშურის გაფიცვის ორგანიზატორებს. ავტორი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რაც საფუძვლად დაედო გაფიცვას:

1. მთავარ სახელოსნოს მუშებისათვის საცვლები დაურიგებიათ – ხაშურში კი - არა;
2. სასურსათო მაღაზიის გამგე კაკაბაძე ლოთობს და ხალხს უზრდელად ეპყრობა;
3. ყველა მუშას სახაზინო ბინა არ ყოფნის;
4. 20 თებერვლის ნაცვლად ჯამაგირი 22 თებერვალს მიუღიათ.
5. ვიღაცას ყალბი პურის ბარათი აღმოუჩენია...

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4)

აი, ყველა ის მიზეზი, რისთვისაც თავიანთი კავშირის ორგანოსგან ახსნა-განმარტების მიღებამდე გაფიცვის ბიუროს ირჩევენ და ეს იმ დროს, როდესაც მთელს რესპუბლიკას თავს დაატყდა ეროვნული უბედურება და მათივე მეზობელი ქალაქის და სოფლების მცხოვრებნი გამანადგურებელმა მიწისძვრამ უსახლკაროდ დასტოვა.

გაფიცისთვის ემზადებიან იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის საუკეთესო შვილები ბათუმისკენ მიემგზავრებიან ძალათ მოგლეჯილი სხეულის დასაბრუნებლად“.

„ეხლა არ იკითხავთ გაფიცვის ბიუროს მეთაურებს?

-ყალბი ქაღალდების შედგენაში გამორჩეული მემანქანე ვიქტორ მეტრეველი და პოლიტიკური ბალღი ზეინკალი დათიკო ლეჟავა.

რა სურთ ამათ და მათ ამყოლებს? ნუთუ ესენი არიან მუშების ნამდვილი დამცველები და სხვა ხაშურის მოწინავე ამხანაგებმა უდალატეს მუშათა კლასს?“

8 მაისს, სდმპ კომიტეტმა მოისმინა ინფორმაცია იმ პირებისგან, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სოფლებში გასვლა და ხალხისათვის მომენტის გაცნობა. გაირკვა რომ „...ხალხი ერთსულოვნად იზიარებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის მიერ აღებულ პოლიტიკურ ხაზს და მათ გადადგმულ ნაბიჯებს. თითქმის ყველგან, მოხსენების შემდეგ გამოუტანიათ სასურველი რეზოლუციები, რომლითაც მხარს უჭერენ ხალხის ინტერესების გამომხატველ მთავრობას და მზად არიან პირველი დაძახილისთანავე იარაღით ხელში დაიცვან რევოლუციის მონაპოვარი კარზე მომდგარ შავ-წითელი რეაქციისგან“.

11 მაისს, კომიტეტმა მოისმინა გორის სამაზრო კონფერენციის დელეგატის არკ. ხუნდაძის ინფორმაცია და მიიღო დადგენილება „განაპირა სოფლებში მიტინგების“ მოწყობისა, რათა „ხალხს გაურკვიონ თანამედროვე საკითხები“ ამ მიზნით შეირჩა პარტიის წევრები.

16 მაისს სოფელ მოხისში გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, რომელსაც 20-ზე მეტი სოფლის წარმომადგენლები დაესწრნენ. მიტინგი სდმპ ხაშურის ორგანიზაციის თაოსნობით გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ ერმილე შარაშიძე, სიმონ ბაბლიძე და ნიკო სიხარულიძე. მათ ილაპარაკეს თანამედროვე მომენტზე, აგრარულ საკითხზე რესპუბლიკის შინაურ მდგომარეობაზე, სახელმწიფო თავდაცვის საკითხზე, განათლების შესახებ და სხვა.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია:

„მოხისის საზოგადოების მრავალრიცხოვანმა ყრილობამ, 16 მაისს, მოისმინა რა მოხსენება ხაშურის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი ამხანაგებისა მიმდინარე მომენტზე და სხვა საკითხებზე, რესპუბლიკის მთავრობის ყველა გადადგმულ ნაბიჯებს იწონებს და სრულ ნდობას უცხადებს მას“.

საქართველოს მთავრობამ დიდი მუშაობა გასწია იმისთვის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სხვა სახელმწიფოებს ეცნოთ. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო ვინც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა იყო საბჭოთა რუსეთი, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 1920 წლის 7 მაისს. ამავე წლის 12 ივნისს, ევროპის მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ საქართველოს მთავრობა სცნო „დე ფაქტოდ“, ხოლო მოგვიანებით, 1921 წლის 27 იანვარს - „დე იურედაც“, რაც ნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას.

რუსეთ-საქართველოს შორის დადებული 7 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია. საქართველოს მთავრობას ხელი უნდა აეღო ბოლშევიკების დევნაზე, დაეშვა მათი ორგანიზაციების ლეგალური არსებობა და მოღვაწეობა, კრებების, გამომცემლობებისა და პრესის თავისუფლება.

1920 წლის მაისის ბოლოდან თავიანთი მუშაობა განაახლეს ხაშურელმა ბოლშევიკებმა

6 ივნისს, ხაშურში, გაიმართა „კომუნისტური იაჩეიკების წარმომადგენელთა“ კონფერენცია. კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო მიმდინარე მომენტს, ორგანიზაციულ საკითხებს და მიღებული იქნა სათანადო რეზოლუციები

კონფერენციამ მიმართა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მას „წინადადება მიეცა“ საქართველოს მთავრობისათვის „ადგილებიდან დათხოვნილი ამხანაგების დასაბრუნებლად, დატყვევებულ ამხანაგთა განსათავისუფლებლად და ხაშურის რაიონში მომხდარ ამხ. ქალიაშვილის მოკვლის გამოსაძიებლად“ განეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი.

ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია „...ხაშურის რაიონის კომუნისტურ „იაჩეიკების“ მოწინავე ამხანაგთა კონფერენცია, რომლის მიზანიც არის ლეგალურ პირობებში მოაწყოს გადახალისებული და ახალი კომუნისტური ორგანიზაცია, ერთხელ და კვალათ აღაირებს, რომ მენშევიკების მმართველმა მთავრობამ, თავისი რეპრესიებით და დევნით, სავსებით ვერ მიაღწია მიზანს; სცნობს რა მშრომელი მასის სულიერ განწყობილებას, თამამად გამოსთქვამს, რომ კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია ჩვენს რაიონში ჰპოვებს ნაყოფიერ ნიადაგს კლასთა ბრძოლისას, რომ იგი შესძლებს მკვიდრს და დისციპლინარულ პარტიული რაზმების შექმნას, რომელნიც გააძლიერებენ საქართველოს კომუნისტურ პარტიას“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ იგი მხარს უჭერს თბილისში 29 მაისს გამართულ „კომუნისტური თათბირის რეზოლუციას“ და „იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი საქართველოს კომუნისტური პარტიის სიეზდი, რომელიც იქნება ლეგალურ პირობებში აშენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელი, დაადასტურებს ამ თათბირის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს“.

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც ნათქვამი იყო: „ექვსს ივნისი ხაშურის რაიონის კომუნისტური „იაჩეიკების“ მოწინავე ამხანაგთაგანაც შემდგარი კონფერენცია გიძღვნით მხურვალე სალამს ჩვენი პარტიის მესვეურთ. გუსურვებთ გაასკეცებული ენერგიით გეღვაწოთ მუშათა კლასის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად და გპირდებით მთელი ძალ-ღონით დაგეხმაროთ იმ ძეგლის ასამართავად, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია ჰქმის, როგორც მესამე ინტერნაციონალის ერთი რაზმი“.

8 ივნისს, ხაშურში, დაარსდა პარტიული ბიურო. კრებაზე „ადგილობრივმა ორგანიზაციამ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს“ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია მომენტის შესახებ და განიხილა ორგანიზაციის მოწყობისა და გაფართოების საკითხი.

18 ივნისს გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ „ხაშურში უკვე მოხდა რაიონის კრება და შეუდგნენ ორგანიზაციების მოწყობას. აირჩიეს რაიონული კომიტეტი... ცენტრი მუშაობისა მაზრაში ქ. ხაშურია.

გაზეთ „საქართველოს კომუნისტის“ ფონდისათვის ხაშურის რაიონულ კომიტეტისაგან თანამგრძნობელთა შორის შეკრებილი იქნა 350 მანეთი. ასევე ხაშურის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციის მიერ, ბორჯომის ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებში, ფონდისთვის, შეგროვდა 350 მანეთი“.

23 ნოემბერს, გაზეთ „ახალ კომუნისტში“ დაიბეჭდა დეპეშა: „ხაშურის სამაზრო კონფერენცია საქართველოს კომუნისტური პარტიისა, ულოცავს საქართველოს რევოლუციონურ პროლეტარიატს და გლეხკაცობას საბჭოთა რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებას. ყირიმის კონტრრევოლუციაზე, რითაც საშუალება ეძლევა საქართველოს პროლეტარიატს, ნორმალურ პირობებში, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, აწარმოვოს რევოლუციონური ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალისტური კაპიტალის წინააღმდეგ“.

იქვე მითავსებულია მეორე დეპეშაც:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ხაშურის სამაზრო კონფერენცია უძღვნის მხურვალე სალამს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და საგუბერნიო კომიტეტებს და აღუთქვამს ენერგიულ მუშაობას კომუნისტური ორგანიზაციის და კომუნისტური იდეების გამაგრებაში და გავრცელებაში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, ჰოსპიტალ „ევექსის“ ხელმძღვანელ მაია მამაცაშვილთან ერთად, ჰოსპიტალის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაზე იმსჯელა

„როგორც მოსახლეობისთვისაა ცნობილი, ველოდებით პროექტის განხორციელებას, რომელიც უახლოეს პერიოდში უნდა დაიწყოს და რომელიც ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების -ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის განხორციელება 2022 წლის პირველი ნახევარში დაიწყება და დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს მოსახლეობას. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერია დაიწყებს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, თუმცა, ტერიტორია, რომელიც „ევექსის“ კლინიკის მიმდებარედაა, წყლის პროექტის განხორციელებამდეც, დროებით უნდა მოვაწესრიგოთ, რადგან მოსახლეობამ შეუფერხებლად შეძლოს გადაადგილება და სხვადასხვა მიმართულებით, სამედიცინო მომსახურების მიღება.“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა შეხვედრაზე.

როგორც გადაწყდა, გზის მოსწორების დროებით სამუშაოებს, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ განახორციელებს, მოხდება აღნიშნული ტერიტორიის გასუფთავებაც.

ქვიშხეთში, ფრანგული ტექნოლოგიით დამზადებული თხის ყველი, ბაზარს ითვისებს

"თიკანი" ასე ქვია თხის რძისგან წარმოებულ პროდუქციას, რომელიც სურამ-ხაშურის ეპარქიაში მზადდება. დედა კლავდია, მესამე წელია, თხის ყველს ამზადებს. საინტერესო ის ფაქტია, რომ ყველი ფრანგული ტექნოლოგიით მზადდება. ყველის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი, დედაომ, საფრანგეთში ისწავლა და როგორც თვითონ ამბობს, ტექნოლუგიურად, თითქმის მიახლოებულია ფრანგულ ყველთან. ყველა პროცესს, თხების მოვლის, მოწველის და საბოლოო შედეგამდე მიყვანის, თვითონ აკეთებს. ბაზარზე მოთხოვნაც დიდია და "თიკანის" პროდუქციაც საუკეთესო შეფასებას იმსახურებს მომხმარებლისგან. წარმოება ამ ეტაპზე, შეჩერებულია, წარმოების გაფართოების და შესაბამისი პირობების შესაქმნელად, თხებისთვის სათავსოების მშენებლობის პროცესი გაჭიანურდა, თუმცა, პროდუქცია, მალე ისევ დაუბრუნდება მომლოდინე მომხმარებელს.

დედა კლავდია:

–სამი წელია თხის ყველს ვამზადებთ. ეპარქიას ჰყავდა 15 მაწველი თხა და ტრადიციული მეთოდით ვამზადებდით ყველს. მოხდა ისე, რომ საფრანგეთში მაცხოვრებელმა ახლობელმა, დაგვაკავშირა პარიზთან ახლოს მდებარე ფერმასთან, სადაც ამზადებდნენ თხის ყველს. ეს იყო სამი წლის წინ. სამი კვირის განმავლობაში, ვიმყოფებოდი საფრანგეთში ყველის ტექნოლოგიის შესასწავლად. დაახლოებით 200 სული თხა ჰყავდათ, ფრანგული ჯიშის ალპური თხები, რომლის წველადობა სულზე 6 ლიტრს შეადგენდა. საოჯახო ტიპის ფერმა იყო, დიდი ზომის და ადგილობრივ ბაზარს ამარაგებდნენ.

იქ ვისწავლე რძის დამუშავება. სანამ ყველის მასას მივიღებთ, როგორ უნდა მოვიყვანოთ რძე, ყველის ამოყვანა, დამუშავების და ბაზრამდე მიტანის ყველა პროცესი. შვიდი სახეობის ყველს ამზადებდნენ, მე აქ არ მაქვს შესაბამისი პირობები, რომ ამდენი სახეობის ყველი ვაწარმოო. თუმცა, იმ სახეობაზე გავაკეთე არჩევანი, რომელიც ქართული ბაზრისთვის იქნებოდა მისაღები. სამკვირიანი სწავლება, საკმარისი აღმოჩნდა ტექნოლოგიური პროცესების შესასწავლად.

- როგორია ტექნოლოგიური პროცესი, რომ მოგვიყვეთ?

–ყველს, ამოყვანის შემდეგ, აჩერებენ ორი დღე, შემდეგ შეაქვთ დაძველების ოთახში, 7 გრადუს ტემპერატურაზე ტოვებენ. ყველა ყველს თავისი დაძველების ვადები აქვს, არის ერთთვიანი, ოთხთვიანი დაძველების. რაც უფრო მეტია დაძველება, საბაზრო ფასი შესაბამისად, მაღალია. აუცილებელია ტენიანობის დაცვა, რომ შესაბამისი ხარისხის ყველი მივიღოთ. გადასატან ყუთებსაც კი თავისი დანიშნულება აქვს ხარისხის შენარჩუნებისთვის.

- დაბრუნდით საქართველოში, როგორ გაგრძელდა წარმოების პროცესი?

–საქართველოში დაბრუნების შემდეგ, უკვე გაზაფხულიდან შევუდექით საქმიანობას. გავზარდეთ თხების რაოდენობაც, რუსული ჯიშის თხა შემოვიყვანეთ, წველადობაც მაღალი აქვს და რძის ხარისხიც უკეთესია. ყველის დამზადების შემდეგ, როცა ფრანგული ტექნოლოგიით, ის მივიღეთ, რაც გვინდოდა, მისი რეალიზაციის დრო დადგა. ჩვენ გვაქვს facebook გვერდი, სადაც განვათავსეთ ჩვენი პროდუქცია და უკვე დაიწყო დაინტერესება და შეკვეთების მიღება. ერთ-ერთ მაღაზიას დავურეკეთ, შეამოწმეს შემადგენლობა და მოწონების შემდეგ, დავიწყეთ თანამშრომლობა. ასევე, ქვიშხეთის სასტუმრო "მწერლებს" ვაწვდიდით ყველს. დიდია დაინტერესება ფიზიკური პირებისაც.

- გარდა ყველის, კიდევ რას აწარმოებთ და სამეწარმეო სახის მიცემას თუ აპირებთ პროდუქციისთვის?

–ამ ეტაპზე, მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ვართ დამაგრებული, მიწოდებაც დიდი არაა და არც სამეწარმეო სახე მიგვიცია პროდუქტისთვის, რადგან გვენდობიან, როცა შესაბამის ეტიკეტს, შეფუთვას გავუკეთებთ, უკვე სხვა ბაზარზეც გავალთ. გარდა ყველის, რძეს, ნადუღს, მაწონსაც ვყიდით. ჩვენ ნაწარმს "თიკანი" ქვია.

- როგორც ბრძანეთ, ტექნოლოგიურად, ძალიან მიახლოებულია ფრანგულ წარმოებასთან. როგორ ახერხებთ ამას, გაქვთ შესაბამისი ტექნიკური ხელშეწყობა?

–გასულ წელს, "აწარმოე საქართველოში" დავწერეთ პროექტი, ახლობლის დახმარებით, ძალიან მინდოდა ყველის დასამზადებელი ტექნიკური საშუალებები, რომ ყველის დასამზადებელი ოთახი გამეკეთებინა. რადგან უკვე მიმდინარე საქმიანობა იყო, მარტივად დავფინანსდით.

- ახლა რა ეტაპზე ხართ, მიმდინარეობს წარმოება?

–ამ ეტაპზე, შენობის მობილიზების პროცესში ვართ და შეჩერებულია ჩვენი საქმიანობა. როცა ეს პრობლემა მოიხსნება, გაფართოება მინდა, რომ სხვა ადამიანებიც დავასაქმო. საქართველოში სულ რამდენიმე მწარმოებელია თხის ყველის, თუმცა, ისინი, ტრადიციული მეთოდით ამზადებენ. ამ მხრივაც, საინტერესოა ჩვენი წარმოებული ყველი. თუმცა, მხოლოდ ეს არაა ის საქმიანობა, რასაც ჩვენ ვეწევით. მეკვერცხული ქათმებიც გვყავს, კვერცხსაც ვაწარმოებთ. ინკუბატორიც გვაქვს, წიწილებზეც დიდი მოთხოვნილებაა. აქაც ადგილობრივ ბაზარზე გავდივართ. სხვა შემადგენლობის კვერცხია, ფერიც განსხვავებული აქვს და ფასიც.

- რა არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ახლა ხელს გიშლით საქმიანობაში?

–ძალიან დიდი მოთხოვნილებაა რძეზეც, ყველზეც, გვირეკავენ. რადგან თხის ყველს უნიკალური შემადგენლობა აქვს. ძალიან მინდა, რომ ეს საქმე გავაფართოვოთ, რადგან როგორც საინტერესო, ასევე, ძალიან პერსპექტიულია. ჩვენი ძირითადი პრობლემა, ამ ეტაპზე, სათავსოები და მუშა-ხელია. ყველის წარმოებისთვის, თითქმის ყველაფერი მაქვს, როგორც ტექნიკურად, ასევე რეალიზების კუთხითაც.

- როგორია თქვენი მოლოდინი, როდიდან შეძლებთ წარმოების აღდგენას?

–მომავალ წელს, უკვე დავიწყებთ წარმოებას, ამის დიდი იმედი გვაქვს. ძალიან დიდ თანხებთან არის შენობის აშენება დაკავშირებული, რამაც დროში გააჭიანურა ჩვენი საქმიანობა. ბაზარი პატარაა, ამიტომ, საბანკო რისკებსაც მოვერიდეთ და ჩვენი ძალებით ვაკეთებთ.

ძალიან მიყვარს ეს საქმე, საოცარ ემოციას მაძლევს ყველა ის პროცესი, რასაც ტექნოლოგიურად გავდივარ ყველის კეთების დროს.

თ. ჯავახიშვილი

თემურ კობერიძის ხსოვნას

თუკი ამ ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ, თუნდაც ერთ ადამიანს გაეხარდება შენი დანაკლისი, ჩათვალე, რომ ფუჭად გიცხოვრია - ეს სიტყვები თემურ კობერიძეს ეკუთვნის, რომელიც არაერთხელ წარმოუთქვამს. სწორედ ამ

პრინციპით იცხოვრა და იღვაწა ამ საოცარმა კაცმა, იღვაწა ისე, რომ მხოლოდ პატივისცემა და სიყვარული დატოვა ყველგან და ყველას გულში.

ხაშურის ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა დაკარგა ქალაქმა, ლეგენდა, რომელმაც ჯერ წლები უშუალოდ საფეხბურთო მინდორზე ულიდერა „ივერიას", შემდეგ კი, ასევე წლები, მოძღვრავდა ახალგაზრდებს. მოძღვრავდა ისე, რომ უდიდეს კვალს ტოვებდა მათ სპორტულ კარიერაში თუ საერთოდ ცხოვრებაში. ყველგან ლიდერი იყო, კაცი, რომელსაც აზრს ეკითხებოდნენ და ამ აზრს მუდამ ითვალისწინებდნენ. განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდა და ამის წყალობით, უამრავი კეთილი საქმე დაუგვირგვინებია. ისეთი საქმეებიც კი, რომლებიც უიმედოთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მარტო ქალთა ფეხბურთის აღორძინება რად ღირს და ეს არა მარტო ხაშურში, არამედ სრულიად საქართველოში. დიახ, ჩვენს ქვეყანაში დღეს თუ სპორტის ეს სახეობა გარკვეულ დონეზე დგას, ამის პიონერი და ერთ-ერთი გზამკვლევი სწორედ თემურ კობერიძე იყო. სიკეთეს აფრქვევდა ყველგან, რომელსაც პეშვი-პეშვ აგროვებდა და მერე უშურველად გასცემდა.

ძალიან დიდი დანაკლისია, ძალიან დიდია ჩვენი მწუხარება, რომ ამ დიდი გულის კაცზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი. ერთადერთ ნუგეშად კი ის გვრჩება, რომ უფალი მარადიულობაში მის გვერდით იქნება, რადგან ასეთი წესიერი ცხოვრებით გზაგავლილ ადამიანებს უფალი არასოდეს ტოვებს ეულად.

ვუსამძიმრებთ შენს ლამაზ ოჯახს და ვუსამძიმრებთ სრულიად ხაშურს!

მშვიდობით, კარგო კაცო!

გკოცნით და გეფერებით!

რედაქციელები,
სასპორტო სკოლის თანამშრომლები, მეგობრები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ხაშურის საპატიო მოქალაქის, ღვაწლმოსილი ფეხბურთელის, ქალთა გუნდ „ივერიის" მთავარი მწვრთნელის - ბატონი **თემურ კობერიძის** გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს და ახლობლებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.